

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს - საერთაშორისო გადაზიდვები - ს/კ 404536114

ფინანსური მდგომარეობა

ათასი ლარი

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2244	196374	66499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	710203	230340	256286
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	10741	12318	7997
მარაგები	-	163	617
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	163	617
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	4713	7698	896
ძირითადი საშუალებები	83437	33887	39828
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	811338	480780	372123
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	2058	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	22597	50036	141265

ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	26621	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	5354	8180	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	314662	121177	65131
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	279669	161443	42889
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	38404	9100	86097
სულ ვალდებულებები	689365	349936	335382
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	54674	368	368
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	67299	130476	36373
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	121973	130844	36741
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	811338	480780	372123
სულ მოკლევადიანი აქტივები	710203	439195	331399
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	409696	188493	206396

მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

შპს - საერთაშორისო გადაზიდვები - ს/კ 404536114

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	ათასი ლარი	
	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4424263	3723465
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	4424263	3723465
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-3925261	-3276745

საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	499002	446720
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	70015
დასაქმებულთა ანაზღაურება	-398281	-271482
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-14539	-8474
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-53979	-22324
იჯარის ხარჯი	-7848	-1100
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-50627	-87238
სულ საოპერაციო ხარჯები	-525274	-320603
საოპერაციო მოგება	-26272	126117
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-15893	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-4062	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-46227	126117
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-4166
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-46227	121951
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-46227	121951
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	130844	36741
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	54306	-

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-16950	-26270
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-1578
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	121973	130844

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს - საერთაშორისო გადაზიდვები - ს/კ 404536114

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	ათასი ლარი	
	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-545277	75706
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	352094	53776
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-193183	129482
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-947	393
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	196374	66499
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2244	196374

ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს საერთაშორისო გადაზიდვები ს/კ 404536114 2017 წელს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე ახორციელებს ყველა სახის (სახმელეთო,

საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო) საერთაშორისო გადაზიდვას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პ. კობახიძის ქ., №5.

კომპანიის წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

1. ლექსო გოლეთიანი - პ/ნ 01017020554; - 35 %
2. ბონდო გოლეთიანი - პ/ნ 01017010532; - 25 %
3. ზვიადი ლემონჯარია - პ/ნ 01015007017; - 15 %
4. ანდრია თოლორაია - პ/ნ 01031000431; - 25 %

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 20 თანამშრომელს (2021 წელს შეადგენდა 13 თანამშრომელს, 2020 წელს შეადგენდა 15 თანამშრომელს, 2019 წელს - 12 თანამშრომელს).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს)-ის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთესად ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები:

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც **2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 2.8844 ლარს** (2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 3.5040 ლარს, 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 4.0233 ლარს, 2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარს, ხოლო ერთი ევრო 3.2095 ლარს). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო დღის კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება - ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება გაინისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული

გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება / ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაციაში ჩაშვება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

შენობა ნაგებობები - 30 წელი;

მანქანა დანადგარები და მოწყობილობები - 5 წელი;

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

ჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7-10 წელი;

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ 5 – 7 წელია პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15 %-ით.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების

სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.5 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება - ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება - ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.6 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოშვები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია ფასდამოშვებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ სრულად გაუწია ტრანსპორტირების მომსახურება და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები ჩამოიშორა.

შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს:

- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში;
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.7 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისთვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით.

კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 31 მაისს:

დირექტორი: ლექსო გოლეტიანი

